განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტი, როგორც საკანონდებლო, ასევე, ფაქტობრივ დონეზე, მნიშვნელოვნად ამაღლდა ბოლო წლების განმავლობაში. თუმცა, ამ სფეროში კვლავ რჩება გარკვეული გამოწვევები, როგორც კერძო, ასევე, საჯარო სტრუქტურებში. ამ გამოწვევების საპასუხოდ აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე აღმოიფხვრას ხარვეზები, იმისათვის, რათა პერსონალური მონაცემების, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი და გარანტიები უფრო გამყარდეს. ამისათვის, მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო, როგორც საჯარო, ისე, კერძო სექტორთან მიმართებით აღიჭურვოს სათანადო მექანიზმებითა და უფლებამოსილებებით; გაიზარდოს პერსონალური მონაცემების საზედამხედველო ორგანოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება; კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში იყოს უფრო მეტად განჭვრეტადი და გაიზარდოს ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგრადი და ეფექტიანი მექანიზმები.

ასევე, კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების, საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების საჭიროებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია და კონსოლიდაცია წარმოადგენს საქართველოს მიერ ევროპის კავშირთან ასოცირების შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით ნაკისრ ვალდებულებას. ასოცირების შეთანხმების I დანართის თანახმად, საქართველო ვალდებულია უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის No 95/46/EC დირექტივასთან, ევროპის საბჭოს 108 კონვენციასთან და მის დამატებით ოქმთან, ასევე, ევროკავშირის 2008 წლის 27 ნოემბრის 2008/977/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებასთან და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 15 ნოემბრის No R (87)15 რეკომენდაციასთან. გარდა ამისა, „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის (RoadMap2EU)“ თანახმად, მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დაახლოება მონაცემთა დაცვის უახლეს ევროპულ სტანდარტებთან წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას/სამომავლო გეგმას.

2016 წლის 27 აპრილის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ახალი რეგულაცია 2016/679(GDPR), რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 25 მაისიდან. ზემოაღნიშნულმა რეგულაციამ დაადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი სტანდარტები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში შემოიღო ახალი მნიშვნელოვანი ცნებები და ინსტიტუტები თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით. საქართველოს, როგორც ევროპული სამართლებრივი კულტურისა და ევროპული ინტეგრაციის პროცესში მყოფი ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის 2016 წლის 27 აპრილის 2016/679(GDPR) რეგულაციასთან და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია და, შესაბამისად, ახალი დემოკრატიული სტანდარტების იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში.

2016 წლის 27 აპრილის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2016/679(GDPR) რეგულაციამ გააუქმა „ასოცირების შესახებ“ შეთანხმებით გათვალისწინებული 95/46/EC დირექტივა. რეგულაციის 94-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მითითება 95/46/EC დირექტივაზე განმარტებულ უნდა იქნეს როგორც ზემოაღნიშნულ რეგულაციაზე მითითება.

გარდა რეგულაციასთან შესაბამისობის ზოგადი ამოცანისა, ახალი საკანონმდებლო აქტის მიღება განპირობებულია პრაქტიკული საჭიროებებითაც. კერძოდ, ახალი რეგულაციის მიხედვით, მისი მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ ევროკავშირის ტერიტორიაზე დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე, არამედ, იმ პირებზე, რომლებიც პროდუქტის ან მომსახურების მიწოდებას ახორციელებენ ევროკავშირის ტერიტორიაზე. ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, საქართველოს საწარმოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე საქმიანობის წარმართვა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ საქმიანობას ევროკავშირის ტერიტორიაზე.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

პერსონალურ მონაცემთა დაცვის არსებული საკანონმდებლო ბაზის განვითარების ტენდენციებისა და მიმდინარე გამოწვევების გათვალისწინებით, აუცილებელია ისეთი ახალი საკანონმდებლო აქტის მიღება, რომელიც ერთი მხრივ, სრულად გაითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს გამჭვირვალე და მწყობრი სამართლებრივი რეგულაციების შემოღებას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების რეალიზაციასა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რითაც

უზრუნველყოფილი იქნება პერსონალური მონაცემის დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ეფექტიანი დაცვა, ხოლო მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო აღჭურვილი იქნება სათანადო მექანიზმებითა და უფლებამოსილებებით, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის მიმართ.

ამასთან, კანონპროექტის მიღების შედეგად გაიზრდება მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის სტანდარტი, დაიხვეწება კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში და იქნება მეტად განჭვრეტადი, ამავდროულად, გაიზრდება პერსონალური მონაცემების საზედამხედველო ორგანოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, შეიქმნება ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგრადი და ეფექტიანი მექანიზმები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კანონპროექტით ახლებურად განისაზღვრება პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი ინსტიტუტები და ცნებები. კანონპროექტი არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური, ნახევრად ავტომატური და არაავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე. ამომწურავადაა ჩამოთვლილი ის შემთხვევები, როდესაც არ ვრცელდება მისი მოქმედება (ფიზიკური პირის მიერ მონაცემთა აშკარად პირადი მიზნებისათვის დამუშავება, სახელმწიფო უსაფრთხოების (მათ შორის, ეკონომიკური უსაფრთხოების), თავდაცვის, სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი საქმიანობების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავება). გარდა ამისა, საერთაშორისო პრაქტიკისა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის 2016/679(GDPR) რეგულაციის შესაბამისად, გათვალისწინებულია მართლმსაჯულებისა და საკონტროტუციო კონტროლის მიზნებისათვის და მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული სპეციალური დათქმები.

კანონპროექტით იცვლება „პერსონალური მონაცემის“ და „განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემის განმარტება. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის 2016/679(GDPR) რეგულაციის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, მათ შორის, სახელით, საიდენტიფიკაციო ნომრით, გეოლოკაციის მონაცემებით, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით, ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური და ფსიქოლოგიური, გენეტიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლით; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი განიმარტება როგორც მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან

ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული კავშირის წევრობასთან, ჯანმრთელობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, მსჯავრდებასთან, ნასამართლობასთან, არასრულწლოვნის განრიდებასთან, სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან ოჯახური დანაშაულის დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები;

ზუსტდება და იხვეწება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები. დგინდება, რომ მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, გამჭვირვალედ და მონაცემთა სუბიექტისთვის ღირსების შეულახავად. მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებულ იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. ისინი უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი. დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები დაუყოვნებლივ უნდა წაიშალოს ან განადგურდეს. მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. დამუშავების მიზნების გათვალისწინებით არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს. მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იყოს მათი უსაფრთხოება სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომებით, რომელიც უზრუნველყოფს მათ დაცვას მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვის, განადგურებისა და დაზიანებისაგან.

კანონპროექტით ევროკავშირის რეგულაციის გათვალისწინებით დგინდება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები.

კანონპროექტით, მნიშვნელოვანი ცვლილებები ეხება ვიდეოთვალთვალისა და აუდიომონიტორინგის, მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების წესებს. ვიდეოთვალთვალის განხორციელებისათვის მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია ხდება მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვით ვიდეოთვალთვალის მიზანი და მოცულობა, ვიდეოთვალთვალის ხანგრძლივობა და ჩანაწერის შენახვის ვადა, ვიდეოჩანაწერებზე წდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები. უშუალოდ სამუშაო ადგილის ვიდეოთვალთვალი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში სამუშაო ადგილის მიხედვით ყველა დასაქმებული პირი დამატებით უნდა იყოს

ინფორმირებული ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნების შესახებ. ვიდეოთვალთვალის სისტემა და ვიდეოჩანაწერები დაცული უნდა იყოს არამართლზომიერი ხელყოფისა და გამოყენებისაგან. მონაცემთა დამმუშავებელმა უნდა უზრუნველყოს ვიდეოჩანაწერებზე წვდომის ყოველი შემთხვევის, მათ შორის წვდომის დროის, ადგილის და მომხმარებლის სახელის აღრიცხვა, რომელიც იძლევა წვდომის განმახორციელებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. მონაცემთა დამმუშავებელი/უფლებამოსილი პირი ვალდებულია თვალსაჩინოდ განათავსოს გამაფრთხილებელი ნიშანი ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ, რომელზეც ასევე ასახული იქნება მონაცემთა დამმუშავებლის ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები.

კანონპროექტით გათვალისწინებულია აუდიომონიტორინგის საკანონმდებლო ნორმების შემოღება და განისაზღვრება აუდიომონიტორინგის განხორციელების საფუძვლები. აუდიომონიტორინგის განისაზღვრება, როგორც საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, აუდიო მონიტორინგი ან/და აუდიოჩაწერა; აუდიომონიტორინგის განხორციელება დასაშვებია მონაცემთა სუბიექტის თანხმობით; საოქმო ჩანაწერის წარმოების მიზნით; დისტანციური კომუნიკაციისას; პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია; კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში; მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია წინასწარ ან აუდიომონიტორინგის დაწყებისთანავე გააფრთხილოს მონაცემთა სუბიექტი ამის შესახებ. კანონპროექტით მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების მტკიცების ტვირთი ეკისრება მონაცემთა დამმუშავებელს/უფლებამოსილ პირს.

მნიშვნელოვანი სიახლეები ეხება პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავებას. მონაცემთა დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დასაშვები ხდება მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით. დგინდება ვალდებულება, რომ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მიღებამდე და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას მონაცემთა დამმუშავებელმა/უფლებამოსილმა პირმა მონაცემთა სუბიექტს ნათლად და მარტივი ენით განუმარტოს მის მიერ თანხმობის ნებისმიერ დროს გამოხმობის უფლების და მისი განხორციელების მექანიზმის/წესის შესახებ. მონაცემთა დამმუშავებელი/უფლებამოსილი პირი ვალდებულია, შეწყვიტოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავება მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნისთვის გათვალისწინებული საშუალება უნდა იყოს მარტივი. ამასთან, მონაცემთა სუბიექტის უნდა მიეცეს მკაფიო და მარტივად აღსაქმელი მითითება ამ საშუალების გამოყენების შესახებ. დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის მიერ თანხმობის გამოხმობის უფლების განხორციელებისათვის დაწესებული იქნეს საფასური, ან სხვა შეზღუდვა.

კანონპროექტით, იზრდება მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარანტიები. დგინდება მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და მონაცემთა დამმუშავებლის ადეკვატური ვალდებულებები ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის 2016/679(GDPR) რეგულაციის შესაბამისად:

- მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
- მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება;
- მონაცემთა გასწორების, განახლების და შევსების უფლება;
- მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება;
- მონაცემთა დაბლოკვის უფლება;
- მონაცემთა პორტირების (გადატანის) უფლება;
- პროფილირებაზე უარის თქმის უფლება;
- თანხმობის გამოხმობის უფლება;
- გასაჩივრების უფლება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ეს უფლება განიხილება საზოგადოების ინტერესებთან და სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან კავშირში, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს ლეგიტიმური მიზნების არსებობისას. ცხადია, ასეთი შეზღუდვა დაბალანსებული უნდა იყოს თანაზომიერების პრინციპის დაცვით. აღნიშნულის შესაბამისად, კანონპროექტი დეტალურად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვა და, ამავე დროს, ადგენს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვისა და განხორციელების სათანადო გარანტიებს.

მნიშვნელოვანი სიახლეა კანონპროექტით **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის** შემოღება. საჯარო დაწესებულება (გარდა რელიგიური და პოლიტიკური ორგანიზაციებისა), სადაზღვევო ორგანიზაცია, კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საკრედიტო ბიურო, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია, ავიაკომპანია, აეროპორტი და ის სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მომსახურებას უწევს წელიწადში არანაკლებ 10000 მონაცემთა სუბიექტს, ასევე, ის მონაცემთა დამმუშავებელი/უფლებამოსილი პირი, რომელიც ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების მონაცემებს ან ახორციელებს მათი ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს, ვალდებულნი გახდებიან დანიშნონ ან განსაზღვრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციად განისაზღვრება მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებებისა და საჩივრების ანალიზსა და უფლებამოსილების ფარგლებში, მათზე რეაგირება; მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის წარმომადგენლობას სამსახურთან ურთიერთობაში, სახელმწიფო ინსპექტორის ან მისი სამსახურის მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენის უზრუნველყოფა და

სახელმწიფო ინსპექტორის დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი; მონაცემთა სუბიექტის მიმართვის შემთხვევაში მისთვის ინფორმაციის მიწოდებას მონაცემთა დამუშავების პროცესებისა და მისი უფლებების შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ამოცანები.

ზუსტდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისათვის **მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მიღების წესი და კრიტერიუმები**. დგინდება, რომ თუ მონაცემთა სუბიექტი გამოხატავს თანხმობას წერილობითი დოკუმენტის ფარგლებში, რომელიც სხვა საკითხებსაც არეგულირებს, თხოვნა თანხმობის გამოხატვაზე იმგვარი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ აშკარად იმიჯნებოდეს სხვა საკითხებისაგან, იყოს გასაგები და ადვილად აღქმადი, დაწერილი ნათელი და მარტივი ენით. წერილობითი დოკუმენტის ნებისმიერ იმ ნაწილს, რომელიც არღვევს ამ წესს, არ აქვს სავალდებულო ძალა.

კანონპროექტით გათვალისწინებულია მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასების მექანიზმი. კერძოდ, თუ მონაცემთა კატეგორიის, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნების და საშუალებების გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით იქმნება ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის საფრთხე, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია წინასწარ განახორციელოს მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასება. აღნიშნული ვალდებულება მონაცემთა დამმუშავებელზე გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუიგი მონაცემთა სუბიექტისათვის სამართლებრივი, ფინანსური ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგის მქონე გადაწყვეტილებას იღებს პროფილირების საფუძველზე; ახორციელებს მონაცემთა სუბიექტების ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ან ამუშავებს დიდი რაოდენობისთ მონაცემთა სუბიექტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს. საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მონაცემთა სუბიექტების დიდ რაოდენობად მიიჩნევა საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 3%-სა, რომელიც გამოითვლება მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბოლო შედეგების მიხედვით.

კანონპროექტი განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ერთიან წესებს. პერსონალურ მონაცემთა კანონის დარღვევით დამუშავების გამოვლენის შემთხვევაში სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონით დადგენილი საფუძვლითა და წესით. პერსონალურ მონაცემთა კანონის დარღვევით დამუშავების გამოვლენის შემთხვევაში სახდელის სახით გამოიყენება გაფრთხილება ან ფულადი ჯარიმა. საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, ერთი პირის მიერ ორი ან მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადმინისტრაციული სახდელი მას დაედება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. ამავე დროს, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, იზრდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევისათვის ადმინისტრაციული ჯარიმების ოდენობა. უზრუნველყოფილია

სამართალდარღვევებთან მიმართებაში შემოთავაზებული სანქციების ეფექტიანობა და პროპორციულობა.

კანონპროექტით განისაზღვრება პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ სამართალდარღვევის საქმის წარმოების საპროცესო ნორმები. პერსონალურ მონაცემთა კანონის დარღვევით დამუშავების გამოვლენის შემთხვევაში, სამართალდარღვევის დადგენისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით, შესაბამის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს აწარმოებს სახელმწიფო ინსპექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტით შემოთავაზებულია პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროსათვის სპეციფიკური, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. კანონპროექტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებია: ერთი წლის განმავლობაში იგივე სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშვება კანონის მოთხოვნათა დარღვევით; დიდი რაოდენობით მონაცემთა დამუშავება კანონის მოთხოვნათა დარღვევით ან ასეთი საფრთხის შექმნა; არასრულწლოვანის მონაცემების დამუშავება ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევით; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ანგარებით.

კანონპროექტით ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად ჩაითვლება: მართლსაწინააღმდეგო ქმედების შეწყვეტა და სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის გამოსწორება ან/და მსგავსი სამართალდარღვევის შემდგომში თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება; სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვნის მიერ; სამართალდალდარღვევის გულწრფელი მონანიება და სახელმწიფო ინსპექტორთან თანამშრომლობა; სხვა გარემოება, როგორიცაა, სამართალდარღვევის ხასიათი და სამართალდამრღვევის ბრალის ხარისხი, რომელსაც საქმის გადაწყვეტისას სახელმწიფო ინსპექტორი მიიჩნევს შემამსუბუქებელ გარემოებად. სანქციების შეფარდებისას, შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი შეღავათები.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით, ძირითადი ნაწილის ამოქმედება (გარდა 31-ე და 33-ე მუხლებისა) გათვალისწინებულია გამოქვეყნებიდან 6 თვის შემდეგ, რაც განპირობებულია იმ მიზეზით, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული რეგულირების დეტალური წესების პრაქტიკაში იმპლემენტირებისთვის გათვალისწინებულ იქნეს გონივრული ვადა.

კანონპროექტით, 31-ე და 33-ე მუხლების ამოქმედება გათვალისწინებულია გამოქვეყნებიდან 1 წლის შემდეგ. ეს განპირობებულია იმ ახალი ვალდებულებებით, რაც ეკისრებათ მონაცემთა დამმუშავებლებს და მოიცავს: 1. დამუშავების ზეგავლენის შეფასებასა და 2. მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრას შიდაორგანიზაციულად მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის მიზნით. შესაბამისად, შემოთავაზებულია გონივრული ვადა აღნიშნული ახალი ვალდებულებების შესასრულებლად მომზადებისა და მათი ჯეროვანი იმპლემენტირებისთვის.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა 2020-2022 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი საჯარო დაწესებულებების მიერ ამ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად, რაც შეეხება კერძო სექტორს, მათ მიერ ამ კანონპროექტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა განხორციელდება საკუთარი ხარჯით.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება მოახდენს გავლენას 2020-2022 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კერძოდ, კანონპროექტით იზრდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევისათვის სანქციების ოდენობა. შემოთავაზებული სახდელების ოდენობა გაზრდის საბიუჯეტო შემოსულობებს. კერძოდ, მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევისათვის არსებული 500-ლარიანი ჯარიმის ოდენობა იზრდება 1000 ლარამდე, იურიდიული პირისთვის - 500 ლარიდან 2000 ლარამდე; მონაცემთა ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე დამუშავებისათვის - 500 ლარიდან იზრდება 1000 ლარამდე, იურიდიული პირისთვის - 500 ლარიდან 2000 ლარამდე; ვიდეოთვალთვალის ან აუდიომონიტორინგის განხორციელების წესების დარღვევისათვის - 500 ლარიდან იზრდება 1000 ლარამდე, იურიდიული პირისთვის - 500 ლარიდან 2000 ლარამდე; მონაცემთა

პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის წესების დარღვევით დამუშავებისათვის - 3000 ლარიდან ფიზიკური პირებისთვის მცირდება 2000 ლარამდე; მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის - 500 ლარიდან იზრდება 2000 ლარამდე, იურიდიული პირისთვის - 500 ლარიდან 4000 ლარამდე; ამ კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის - 1000 ლარიდან იზრდება 2000 ლარამდე, იურიდიული პირისთვის - 1000 ლარიდან 4000 ლარამდე.

ასევე დგინდება ახალი სახის სამართალდარღვევები და წესდება შესაბამისი სანქციები. კერძოდ: გარდაცვლილი პირის მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა - ჯარიმა 1000 ლარი, იურიდიული პირისთვის - 2000 ლარი; ამ კანონის III თავით დადგენილი მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევა - ჯარიმა 1000 ლარი, იურიდიული პირისთვის - 1500 ლარი; ამ კანონის 23-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება - ჯარიმა 1000 ლარი, იურიდიული პირისთვის - 1500 ლარი; მონაცემთა დამუშავების დაგეგმვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობა - ჯარიმა 2000 ლარი, იურიდიული პირისთვის - 3000 ლარი; მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის რეგისტრირების ვალდებულების შეუსრულებლობა - ჯარიმა 1000 ლარი, იურიდიული პირისთვის - 1500 ლარი; ინციდენტის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორისათის შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა - ჯარიმა 2000 ლარი, იურიდიული პირისთვის - 3000 ლარი; ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობა - ჯარიმა 3000 ლარი, იურიდიული პირისთვის - 5000 ლარი; მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასების ვალდებულების შეუსრულებლობა - ჯარიმა 2000 ლარი, იურიდიული პირისთვის - 3000 ლარი; სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა - ჯარიმა 3000 ლარი, იურიდიული პირისთვის - 3000 ლარი; ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა - ჯარიმა 1000 ლარი, იურიდიული პირისთვის - 2000 ლარი; სახელმწიფო ინსპექტორისთვის ან სამსახურის უფლებამოსილი პირისთვის „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლების რეალიზებაში ხელის შეშლა - ჯარიმა 1000 ლარი, იურიდიული პირისთვის - 2000 ლარი.

აგრეთვე, რიგ დაწესებულებებში შეიძლება დაინიშნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ან სპეციალური წარმომადგენელი, რომელთა მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი ასევე მიემართება 2020-2022 წლების სახელმწიფო ბიუჯეტში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს გარკვეული ხარჯების გამოყოფას 2020-2022 წლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან კანონპროექტით განსაზღვრული საჯარო დაწესებულებებში სავალდებულოდ დასანიშნი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის დასაფინანსებლად

და მისი საქმიანობის სათანადო პირობებით უზრუნველსაყოფად, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან დაწესებულების წლიური საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში. ოფიცრების რაოდენობას და მათი ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს კონკრეტული დაწესებულება. ხარჯების გამოყოფას გამოიწვევს იმ შემთხვევაშიც, თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევისთვის ფულადი სანქცია დაეკისრება საჯარო დაწესებულებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება 2019-2022 წლებში არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზეც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს სახელმწიფო ინსპექტორისთვის და მონაცემთა სუბიექტებისათვის. კანონპროექტმა შეიძლება წარმოშვას გარკვეული ფინანსური ხარჯები იმ მონაცემთა დამმუშავებლისათვის/უფლებამოსილი პირისათვის, რომლებიც ასრულებენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს (მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა, მონაცემთა გავლენის შეფასება, სხვადასხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება). ასევე, ფინანსური შედეგი შესაძლოა დადგეს მხოლოდ იმ მონაცემთა დამმუშავებლისათვის/უფლებამოსილი პირისათვის, რომელიც დაარღვევს ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ბ.ბ) ქვეპუნქტში მითითებული ჯარიმების ოდენობის ფარგლებში. კანონპროექტი წარმოშობს დადებით ფინანსურ შედეგს იმ პირთათვის, რომლებიც დაინიშნებიან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრებად, ან გამწესდებიან სპეციალურ წარმომადგენლებად და დაენიშნებათ შესაბამისი ანაზღაურება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლისა ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით ადგენს ჯარიმების ოდენობებს სამართალდარღვევის ხასიათისა და სიმძიმის, პასუხიმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით. იურიდიული პასუხისმგებობისას გათვალისწინებულია სამართალდამრღვევთა ორი კატეგორია, რომელთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით ეკისრებათ ჯარიმის განსხვავებული ოდენობა, კერძოდ, პირველ კატეგორიას განეკუთვნება ფიზიკური პირები, საჯარო დაწესებულებები, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, ასევე იურიდიული პირები, უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალები და ინდივიდუალური მეწარმეები, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება

500000 ლარს. მეორე კატეგორიას კი განეკუთვნება იურიდიული პირები (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა), უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი და ინდივიდუალური მეწარმეები, რომლის წლიური ბრუნვა აღემატება 500000 ლარს. მათი ფინანსური მდგომარეობისა და სამართალდარღვევების პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი, ეფექტიანი და გამართლებულია მთთვის სანქციათა განსხვავებული ოდენობის დადგენა.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ზემოაღნიშნული რეგულაციის დარღვევისათვის კომპანიებისათვის ჯარიმების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და კომპანიების დაჯარიმება შესაძლებელია წლიური ბრუნვის 4%-მდე ან 20 000 000 ევროს ოდენობით. რაც შეეხება ნაკლებად მნიშვნელოვან დარღვევებს, ამ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა შეადგენს წლიური ბრუნვის 2%-მდე ან 10 000 000 ევრო, რომელიც უფრო მაღალია. რეგულაციის მიღებიდან ორი წლის განმავლობაში ინტენსიური მუშაობა წარიმართა ევროკავშირის ყველა წევრის მიერ, რაც გამოიხატა ახალი საკანონმდებლო აქტების მიღებით, რომელიც უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული რეგულაციის იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე. მნიშვნელოვანია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის დარღვევისათვის ჯარიმების რაოდენობის გაზრდა განხორციელდა ევროკავშირის ყველა წევრის კანონმდებლობით.

შემოდის სამართალდარღვევის ახალი სახეები, კერძოდ: გარდაცვლილი პირის მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა; ამ კანონის III თავით დადგენილი მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევა; ამ კანონის 23-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება; მონაცემთა დამუშავების დაგეგმვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობა; მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის რეგისტრირების ვალდებულების შეუსრულებლობა; ინციდენტის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორისათის შეტყობინების ვალდებულების შეუსრულებლობა; ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობა; მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასების ვალდებულების შეუსრულებლობა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა; სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა; ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა; სახელმწიფო ინსპექტორისთვის ან სამსახურის უფლებამოსილი პირისთვის „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლების რეალიზებაში ხელის შეშლა.

ამასთან, იზრდება სანქციები შემდეგ სამართალდარღვევებზე: მონაცემთა დამუშავების პრინციპების დარღვევა; მონაცემთა ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე დამუშავება; ვიდეოთვალთვალის ან აუდიომონიტორინგის განხორციელების წესების დარღვევა; მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავება წესების

დარღვევით; მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობა; ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა; ამ კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან. კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის ევროკავშირის 2008 წლის 27 ნოემბრის 2008/977/JHA ჩარჩო გადაწყვეტილებასთან, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 15 ნოემბრის No R (87)15 რეკომენდაციასთან, ასევე „პერსონალურ მონაცემთა ავტომატური დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ“ 1981 წლის №108 კონვენციის მოდერნიზებული ვერსიასა[1] და 2016 წლის 27 აპრილის მონაცემთა დაცვის შესახებ ევროკავშირის 2016/676 რეგულაციასთან (GDPR)[2] შესაბამისობაში მოყვანას.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება ემსახურება საერთაშორისო ვალდებულებების, კერძოდ, ევროპის კავშირთან ასოცირების შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღება შესაბამისობაშია საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ევროკავშირის 2008 წლის 27 ნოემბრის 2008/977/JHA ჩარჩო გადაწყვეტილება;

---

[1] კონვენციის განახლებულ ვერსიაზე მუშაობს ევროპის მინისტრთა კომიტეტის 2013 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით შექმნილი კომისია
http://www.azlp.gov.ba/Aktivnosti/default.aspx?id=769&pageIndex=1&langTag=en-US;

[2] http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32016R0679&qid=1483620078766&from=en

ევროკავშირის 2016 წლის 27 აპრილის მონაცემთა დაცვის შესახებ 2016/676 რეგულაცია (GDPR)

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სამუშაო ჯგუფი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი შემუშავდა ევროკავშირის მხარდაჭერით და გაეროს განვითარების პროგრამის აქტიური ჩართულობით საერთაშორისო პროგრამის „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ ფარგლებში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების), სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო ექსპერტი ურსზულა გორალი.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: სოფო კილაძე, რატი იონათამიშვილი, ცოტნე ზურაბიანი, ვანო ზარდიაშვილი, ირაკლი ბერაია, ანრი ოხანაშვილი